

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №7

თბილისი

10 სექტემბერი, 2010 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორები: კახი ყურაშვილი, მაკა სალხინაშვილი, თამარ ჩიტოშვილი, ასოცირებული პროფესორები: გიორგი თუმანიშვილი, დავით გეფერიძე, ასისტენტი-პროფესორი ლევან მახარაშვილი, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე.

სხდომის თავჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის გიორგი პავლიაშვილის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგის განხილვა და მისთვის აკადემიური ხარისხების მინიჭება (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს: თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის საბჭოს 1.04.2010 წლის №3 გადაწყვეტილებით კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს გიორგი პავლიაშვილს, რომელმაც მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული საკმარისი კრედიტები, დაუმტკიცდა სამაგისტრო თემა და შესაბამისად მიეცა ამ ნაშრომის დაცვის უფლება. სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიამ ჩათვალა, რომ გ. პავლიაშვილის ნაშრომი სტრუქტურულად არ იყო გამართული და საჭიროებდა გადამუშავებას. 2010 წლის 10 ივლისის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს №6 გადაწყვეტილების თანახმად გ. პავლიაშვილმა ხელახლა წარმოდგენა შესწორებული სახით ნაშრომი საჯარო დაცვაზე. კომისია ადასტურებს, რომ წარმოდგენილი ნაშრომი გაწესორებულია და მისი პრეზენტაცია დადებითად შეფასდა კერძოდ, 54(E) „საკმარისი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი პავლიაშვილს უნდა მიენიჭოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რისთვისაც საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ჩიტოშვილმა და ასოც. პროფ. დ. გეფერიძემ.

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყიტა:

1. მიენიჭოს კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი თპუ სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს გიორგი პავლიაშვილს, რომელმაც სწავლების პერიოდში დააგროვა სასწავლო სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო 120 სასწავლო კრედიტი და დადებითად დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე :

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ე. ირემაძე